

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2026 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 5.0 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

სულ შემოსულობები განისაზღვრა 45656.0 მლნ. ლარით, მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 28289.0 მლნ ლარს შეადგენს. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1329.8 მლნ ლარით (5%-ით).

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 25389.0 მლნ ლარით;

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 7.3%-ით (1729.8 მლნ ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2900.0 მლნ ლარს;

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 15.0 %-ით (400,0 ათასი ლარით) მცირდება.

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 13467.0 მლნ ლარამდე;

- **შემოსავლები საკუთრებიდან** განსაზღვრულია 3800.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ პროცენტები 100.0 ათასი ლარი.

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 44.4%-ით (80.0 ათასი ლარით) მცირდება

- ✓ რენტა 3500.0 მლნ ლარი;

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა 22.6%-ით (1020.0 ათასი ლარით) მცირდება.

შემცირება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირებით ვინაიდან, ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე გადასახადის გადახდა შემცირებულია წინა და მიმდინარე წლებთან შედარებით.

➤ შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 50.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 20.0 ათასი ლარი

✓ სანებართვო მოსაკრებელი 30.0 ათასი ლარი

➤ შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 150.0 ათასი ლარით.

• არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 100.0 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 45656.0 მლნ. ლარით

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 45656.0 მლნ ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 28.4 %-ით 10106.0 მლნ ლარით).

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

➤ მმართველობა და საერთო დანიშნულება - 8145.9 მლნ ლარი, მათ შორის:

✓ საკრებულოს დაფინანსება - 1608.0 მლნ ლარი;

✓ მერია - 6111.9 მლნ ლარი;

✓ სარეზერვო ფონდი - 250.0 ათასი ლარი;

✓ წინა წლების წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა - 50.0 ათასი ლარი;

✓ მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 86.0 ათასი ლარი;

✓ თანამშრომლების სწავლება გადამზადება - 40.0 ათასი ლარი;

➤ ინფრასტრუქტურის განვითარება - 8510.0 მლნ ლარი; მათ შორის:

✓ გზების მშენებლობა კაპიტალური რეაბილიტაცია -1 850.0 ათასი ლარი, მათ შორის:

1) საინჟინრო მონიტორინგის თანხა-374.0 ათასი ლარი;

2) რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსება - 519.445 ათასი ლარი;

3) სოფელ ხრეთში მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 28.330 ათასი ლარი;

4) სოფელ პერევისაში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 17.7 ათასი ლარი;

5) სოფელ კალაურში სკოლის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 49.126 ათასი ლარი;

6) სოფელ სკინდორში კანების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 20.368 ათასი ლარი;

7) სოფელ ზედუბნში საუბნო (120მ) გზის რეაბილიტაცია - 29.232 ათასი ლარი;

8) სოფელ ზოდში ჭილაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია - 14.910 ათასი ლარი;

9) სოფელ ზოდში -წირქვალის დამაკავშირებელი 225მ გზის რეაბილიტაცია - 45.555 ათასი ლარი;

10) სოფელ ზედა ჭალოვანში ბიჭიას უბნის გზის რეაბილიტაცია - 43.476 ათასი ლარი;

11)რგანი-ვაჭევის შემაერთებელი გზის(ცენტრიდან გველესიანების უბნამდე) რეაბილიტაცია- 16.0 ათასი ლარი;

- 12) სოფელ ნავარძეთში „მსხლოვანის“ (სასაფლაოს გზა) გზის რეაბილიტაცია - 24.089 ათასი ლარი;
- 13) სოფელ ზედა რგანში ცენტრალურ გზაზე ბეტონიდან ბეტონამდე შემაეთებელი 250გრძ/მ (ვაშაძეების უბანი) გზის რეაბილიტაცია - 45.0 ათასი ლარი;
- 14) სოფელ ჯოლხეთში აბესაძეების უბნის (100მ) გზის რეაბილიტაცია - 22.769;
- 15) სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი თანხები - 600.0 ათასი ლარი;

- ✓ ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა მშენებლობა - 10.0 ათას ლარი (საზედამხედველო თანხა);
 - ✓ წყლის სისტემების ექსპლოატაცია - 1200.0 მლნ ლარი;
 - ✓ გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია - 600.0 ათასი ლარი;
 - ✓ გარე განათების ქსელის ახალი წერტილების მოწყობა და რეაბილიტაცია - 50.0 ათასი ლარი
- ჭიათურაში სოფელ ჭილოვნის საავტომობილო გზის გასწვრივ გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 50.0 ათასი ლარი;
- ✓ მუნუციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება - 3900.0 მლნ ლარი;
 - ✓ მრავალსართულიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია - 300.0 ათასი ლარით;
 - ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა/თანადაფინანსება - 600.0 ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 4335.0 მლნ ლარი:
- ✓ დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 4300.0 მლნ ლარი;
 - ✓ ქვათაცვენის ღონისძიებები - 35.0 ათასი ლარი(საზედამხედველო თანხა);
- განათლება - 10500.0 მლნ ლარი:
- ✓ სკოლამდელი განათლება - 10500.0 მლნ ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 9970.0 მლნ ლარი მათ შორის:
- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 4160.0 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა N27 სპორტული სკოლა - 2150.0 მლნ ლარი;
 - ✓ რაგბის განვითარების ხელშეწყობა - 480.0 ათასი ლარი;
 - ✓ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობა - 830.0 ათასი ლარი;
 - ✓ სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 400.0 ათასი ლარი;
 - ✓ სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა - 300.0 ათასი ლარი;
- ქ.ჭიათურაში, უნივერსალის მიმდებარე ტერიტორიაზე საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება.
- ✓ კულტურის სფეროს განვითარება - 5610.0 მლნ ლარი. მათ შორის :
 - ✓ N1 სამუსიკო სკოლა - 650.0 ათასი ლარი

- ✓ N2 სამუსიკო სკოლა - 390.0 ათასი ლარი
- ✓ სახვითი ხელოვნების განვითარება - 250.0 ათასი ლარი
- ✓ საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირება - 670.0 ათასი ლარი
- ✓ ჭიათურის კულტურის ცენტი - 2800.0 მლნ ლარი
- ✓ სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის დრამატული თეატრი - 50.0 ათასი ლარი
- ✓ კულტურული ღონისძიებები - 200.0 ათასი ლარი
- ✓ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 200.0 ათასი ლარი
- ✓ კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა - 400.0 ათასი ლარი;
ჭიათურაში სამხატვრო შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის 200.0 ათასი ლარი და N1
სამუსიკო სკოლის შენობის მიმდებარედ სადრენაჟე სამუშაოებისათვის 200.0 ათასი
ლარი.
- ✓ ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 200.0 ათასი ლარი

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 4195.1 მლნ ლარი.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირება - 435.1 ათასი ლარი.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდაჭერი პროგრამები - 60.0 ათასი ლარი.

- სოციალური დაცვა - 3700.0 მლნ ლარი, მათ შორის:
- ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა - 1722.0 მლნ ლარი;
- ომის ვეტერანთა დაკრძალვა - 3.0 ათასი ლარი;
- უფასო სასადილო - 300.0 ათასი ლარი;
- მოსახლეობის სოციალური დაცვა - 85.0 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 1390.0 მლნ ლარი;
- სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება - 100.0 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანთა დახმარება - 100.0 ათასი ლარი;

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

დადგენილების წარმდგენი

მუნიციპალიტეტის მერი

გ. მოცეხაძე

დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

[Signature]